ბორჯომი

18 იანვარი
ხუთშაბათი
2024 წელი
№3 (9317)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

უსახლკარად დარჩენილების დასახმარებლად

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა.

მთავრობის წევრებმა სამი საკითხი განიხილეს, რომელთა შორის იყო საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე. პროგრამის ფარგლებში მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ 1000-მდე ოჯახს სახელმწიფო ახალ საცხოვრებელ ფართებს გადასცემს. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი 50 000 000 ლარს შეადგენს.

პროგრამის მიზანი სოციალურად დაუცველი, უსახლკარო მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა და მათთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნაა.

პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს ოჯახი 3 და მეტი არასრულწლოვანი ბავშვით, რომლის ყველა წევრი რეგისტრირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ოჯახებს, რომელთა არცერთი წევრი რეგისტრირებული არ არის დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა ან ეკომიგრანტი ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. ასევე - თუ უსახლკარო ოჯახის წევრს სახელმწიფოსგან უკვე მიღებული არ აქვს საცხოვრებელი ფართი ან სათანადო ფულადი კომპენსაცია საცხოვრებელი ფართის შესაძენად.

ამ და სხვა კრიტერიუმების შეფასების შემდეგ ოჯახების განსახლების საკითხს შესაბამისი კომისია გადაწყვეტს.

პროგრამა 2025 წლის ბოლომდე გაგრძელდება. ოჯახების განსახლება განხორციელდება საქართველოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ბორჯომში ალილოს მსვლელობა გაიმართა

საჩხერისა და ჭიათურის, ბორჯომისა და ბაკურიანის მეუფე დანიელის (დათუაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ბორჯომში ალილოს მსვლელობა გაიმართა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტთან მსვლელობის მონაწილეებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები შეხვდნენ. ხელმძღვანელმა პირებმა მსვლელობის მონაწილეებს ტკბილეული გადასცეს.

ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტის დანიელის ლოცვა-კურთხევით გაიმართა ბორჯომის ქუჩებისა და სახლების საყოველთაო კურთხევა.

უდიდესი მადლით შეხვდა წლის დასაწყისს ოჯახები და ეს პირადად გამოვცადე. მართლაც ამაღლებული და რწმენით სავსე განცდით აიკვსო სახლები. მადლობა მათ ამ ინიციატივისათვის და საზოგადოების სიხარულის მინიჭებისათვის.

ოჯახების მომზადება კურთხევისათვის გაწერილი წესების მიხედვით განხორციელდა, რაც საყოველთაო კურთხევის წინა დღეებში გადაეცა მოსახლეობას.

თითოეულ ოჯახში დაედოს ბინა ანგელოზს; სიმშვიდე და სიყვარული დაესადგურებინოს ჩვენს გულებში. ასე, ჩვენს გულებში იშვას იესო. სიკეთით სავსე და ბედნიერ დღეებს გისურვებთ. კურთხევის მადლი და უფლის გვერდით დგომა ყოველდღე ეგრძნოს ჩვენს ოჯახებს.

ახალი წელი პირადად მიულოცეს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ლევან თედიაშვილი** და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **მაკა მანჯავიძე** დღის ცენტრ „თებეს“ ბენეფიციარებს ესტუმრნენ და ახალი წელი პირადად მიულოცეს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში დღის ცენტრი „თებე“ 2018 წლიდან ფუნქციონირებს და ამჟამად 40-მდე ბენეფიციარს ემსახურება.

დღის ცენტრის ბენეფიციარებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში, რომელიც გულისხმობს როგორც აკადემიური, ასევე ფუნქციური და ყოველდღიური ცხოვრებისეული უნარების გამომუშავება-გაუმჯობესებას.

თითოეული ბენეფიციარი ინდივიდუალური გეგმით იმართება, რომელიც 6 თვის მანძილზეა გაწერილი.

დღის ცენტრში ფუნქციონირებს მინანქრის, ხის ნივთების, სუვენირების, აქსესუარების შესწავლის წრეები, რომელშიც „თებეს“ ზრდასრული ბენეფიციარები აქტიურად არიან ჩართულნი.

ევროპული სალამი მეგობრებო!!!

უამრავი ფიქრი მიტრიალებს და ვეცდები, ჩემ სათქმელს ერთად მოვუყარო თავი. გილოცავთ და გლოცავთ, ვისაც საქართველოს წარმატებული მომავალი ახარებს, ვისაც სულ მცირედად გადადგმული ნაბიჯებიც კი უკვე ძალიან დიდ საქმედ მიაჩნია. თუმცა, მე ჩემ პირად მოსაზრებას მოგახსენებთ და გეტყვით იმას, რომ მე როგორც ერთ ჩვეულებრივ რიგით ქართველს, ნამდვილი ევროპელობისაკენ მიმავალი გზა, საკუთარი „მე“-დან და ოჯახიდან იწყება. ოჯახიდან, სადაც შვილებს ჯერ საკუთარი ეროვნულ ღირებულებას და საერთო საზოგადოებრივისადმი პატივისცემას ასწავლი. ნაკლები „არა ევროპელობა და „არაეროვნულობა ნუ გგონიათ თქვენ, როდესაც სულ ელემენტარული, ქუჩაში მყოფი, საერთო საზოგადო საკუთრებას არ უფრთხოლდები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნორმალურად მოქცევა რომ არ შეუძლიათ და მხოლოდ იმას გაიძახიან, რომ ყველაფერი მთავრობის ბრალია. ყველაფერს მთავრობა ვერ გასწავლის. ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირად დგახართ, სიგარეტს ეწევით, ცხვირწინ ურნა დგას და ნამწვის შიგ ჩაგდება ვერ მოგიხერხებიათ? ან კიდევ ჯერ ჩაუმქრალი სიგარეტი პლასტმასის ნაგვის ურნაში შეგიძლიათ გადაუძახოთ და ურნა დაწვათ? ან თუნდაც, სახლში მისულმა, მთავრობაზე და საკუთარ მოუგვარებელ ცხოვრებაზე განაწყენებულებმა, ოჯახის წევრები სცემოთ? ან კიდევ, ის იძახოთ, მამაკაცი ხომ ქალზე „უპირატესია“? და მერე საზოგადოებაში გახვიდეთ და რაც შეიძლება ყველაზე დიდი სასმისით მანდილოსნებისა და დედის სადღეგრძელო შესვათ? არა, ჩემო მეგობრებო, ეს ევროპელობა არ არის. ევროპელობა სისხლსა და ხორცში უნდა გქონდეთ გამჯდარი და უნდა იცოდეთ, რომ ვერც კანდიდატობა და ვერც წევრობა ვერ გიშველით თუკი თვითშეგნება არ მოგემატება!!!

პატივისცემით - ნაბო მელიქიძე

სასიხარულო ცნობები ბაკურიანიდან

დაიწყო წყლისა და წყალარინების სამშენებლო სამუშაოები

დაბა ბაკურიანში წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები დაიწყო.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ტურისტულ ზონებში წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოსაწყობად სამუშაოებს აქტიურად აგრძელებს.

დაბა ბაკურიანში წყლისა და წყალარინების სისტემების მოწყობის პროექტირება-მშენებლობაზე სამი ხელშეკრულება გაფორმდა. დოკუმენტებს ხელი მოაწერეს წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილემ **ნინო ნაროზაშვილმა** და კონტრაქტორი კომპანიების, შპს „ინსი“-ს გენერალურმა დირექტორმა **- ზვიად თოიძემ,** შპს „გზა“-ს დირექტორმა **- მალხაზ დუმბაძემ** და შპს „ელ ჯორჯია“-ს დირექტორმა - **დიმიტრი კუპატაძემ.**

შპს „ელ ჯორჯიას“-თან ხელმოწერილი პროექტი სახელმწიფო პროგრამა „მშენებლობა განვადებით“-ის ფარგლებში განხორციელდება.

ბაკურიანში ტურისტული ინფრასტრუქტურის სწრაფმა განვითარებამ, ტურისტების რაოდენობის და შესაბამისად, წყლის მოხმარების მკვეთრი ზრდა გამოიწვია.

გამომდინარე აქედან, აღნიშნული პროექტების ფარგლებში დაგეგმილია წყალმომარაგების ახალი ქსელის, მაგისტრალური მილების, რეზერვუარების, წყლის სათავე და გამწმენდი ნაგებობების, ასევე სატუმბი სადგურის მოწყობა. დამატებით დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია-გაფართოება. წყალარინების ქსელის მშენებლობა.

აღნიშნული პროექტები სამ ლოტად მიმდინარეობს და სახელმწიფო დაფინანსებით - ჯამში 141 მლიონ ლარზე მეტი მოხმარდება.

ვულოცავთ მოთხილმაუტეელს წარმატებას!

15 იანვარს ავსტრიის კურორტ რაიტერალმში FIS-ის სკი კროსის შეჯიბრი ჩატარდა, სადაც საქართველოს სკი კროსის ნაკრების წევრები გამოვიდნენ.

დავით თედიაშვილმა მე-2 ადგილი დაიკავა, ლაშა კურტანიძემ მე-12, ბექა ბერძენიშვილი კი მე-14 ადგილზე გავიდა.

ვულოცავთ ჩვენს მოთხილმაურეებს ამ წარმატებას!

ევროპული მომავალი ქართველთა ოცნებაა

ჩემო მკითხველო, სიმართლე რომ გითხრათ, არა მწამს არანაირი ჰოროსკოპის, მჩხიბავების, მკითხავების, არც ნათელმხილველების მჯერა, რომლებიც ათასნაირ ზღაპრებს იგონებენ არჩევნების მოახლოებისას და ახალი წლისათვის. პოპულარული მწერლების, პოეტების და პოლიტიკოსების, დაღვინებული და დაბრძენებულიპიროვნებების ნათქვამის მჯერა.

სულ ახლახანს, ჩემს მეგობარს, **ტარიელ ხარხელაურს,** საქვეყნოდ ცნობილ პოეტს, დაბადების 78 წელი შეუსრულდა, გულწრფელად ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და მხნეობას. მართლაც დიდი ბედნიერებაა, როცა დაღევანდელ საზოგადოებაში ბატონი ტარიელის მსგავსი ადამიანები არსებობენ, რომლებიც ჩვენთვის ზნეობრივი სიწმინდის მაგალითები არიან. აკი ხმამაღლა ამბობს კიდეც **„დღეს ჩემი შემოქმედების ყველაზე დიდი შემფასებელები, ჩემი შვილების და შვილიშვილების თაობაა. მიხარია, რომ ახალგაზრდები ჩემს ლექსებს კითხულობენ“. ასე მგონია, ლოცვაა, როცა საღამო იმართება, დამთავრებისას ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვალი მოვიხადე მკითხველის წინაშეო.**

უკეთესად ვერ იტყვი. სწორედ ასეთი ზებუნებრივი, ნიჭიერი ადამიანების მჯერა.

ბატონ ტარიელს კვალში მიჰყვება ახალგაზრდა, თანამედროვე მწერალი **დათო ტურაშვილი.** მოუსმინეთ, რას ამბობს ევროკავშირში საქართველოს შესვლაზე.

– „არსებობს საზოგადოების ნაწილი, რომელსაც ჰგონია, რომ ევროპაში, ისტორიულ სახლში ბრუნდება, და ეშინია იქ შესვლის ხმამაღლა აცხადებენ, იმ ტრადიციებს დაგვაკარგვინებენ, რაც ჩვენთვის ძვირფასიაო. სინამდვილეში ევროპა სწორედ ის სივრცეა, სადაც ყველა ხალხი და ქვეყანა ადვილად ინარჩუნებს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანს და რას დავკარგავთ და რას შევინარჩუნებთ ეს მხოლოდ ჩვენი გადასაწყვეტია და არავისი სხვისი, გვინდა იქ, სადაც მეტი თავისუფლებაა“. ცნობილი მწერლის გამონათქვამები სადღეისო და უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებზე მრავალი მხატვრული თუ დოკუმენტური ნაწარმოები ჩემთვის ნამდვილად მისაღებია.

სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში უსაშველოდ ბევრი პრობლემაა, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით უდიდეს მუშაობას ეწევა ჩვენი დაქცეული ქვეყნის ფეხზე დაყენებისათვის.

ჩვენი ქვეყნის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს არასაკმარისი განათლება და უაღრესად დაბალი პროფესიონალიზმი.

ხანდაზმულ ადამიანებს კარგად ახსოვთ ყოფილ საბჭოთა საქართველოში ძალიან იაფად შეიძლებოდა ერთი კი არა, რამდენიმე დიპლომის ყიდვა. სამწუხაროდ, ამ 30-35 წლის წინათ, როცა განათლებული და მაღალპროფესიული ადამიანები დაჭირდა ქვეყანას, აღმოჩნდა, რომ ის ნაყიდი დიპლომები და დაბალი პროფესონალიზმი ადამიანებს აღარ გამოადგათ, თუმცა მრავალმა ნეპოტიზმით, ძმაბიჭობით, ჩაწყობით თუ ქრთამით შემოსავლიანი სამსახურებიც იშოვეს და რომ იტყვიან „საშობაო ინდაურებივით“ კი გაკეთდნენ, მაგრამ ქვეყნის ჭაობიდან ამოყვნას და ფეხზე დაყენებას ვერანაირად სასიკეთო წვლილი ვერ შემატეს.

აღარც მახსოვს ამ 33 წლის მანძილზე რამდენჯერ ჩატარდა ჩვენში საპარლამენტო თუ ადგილობრივი არჩევნები, რამდენი „განათლებული“ პოლიტიკოსად „აღიარებული“ დეპუტატი ავირჩიეთ, რომლებიც „ოქროს კოშკებს“ და ქვეყნის აყვავებას გვპირდებოდნენ, სამწუხაროდ, ქვეყანას ვერანაირი სიკეთე ვერ მოუტანეს, მაგრამ თვითონ კი მიაღწიეს საწადელს, კარგი შემოსავლები, სამსახურები „გაიჩალიჩეს“ და პირადი ცხოვრებაც ჩონგურივით აიწყვეს. ზოგიერთები ახლაც ცდილობენ პარლამენტში მოხვედრას, მათი ტელევიზიაში თუ გაზეთებში გამოსვლა გაგაოცებთ. კაცი იფიქრებს, ქვეყნის ამშენებელი გვყოლია და სად იყო აქამდეო. ასეთმა „პირიმზეობამ“ და ენაგატლეკილმა პიროვნებებმა დააქციეს ეს ქვეყანა.

ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილმა „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლიდან დღემდე ურთულესი გზა გამოიარა. რადიკალურ ოპოზიციასთან ყოველდღიურ ღია თუ ფარულ ბრძოლის პარალელურად ქვეყნის სასიკეთოდ მრავალი წარმატებული რეფორმა განახორციელა და ევროპარლამენტის კარზეც ომახიანად დააკაკუნა. საქართველომ წევრობის კანდიდატის სტატუსი მოიპოვა და ახლა ჩვენზე დამოკიდებული, თუ როდის გავხდებით ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები.

რამდენი ნაკლიც არ უნდა ქონდეს ევროკავშირს, ჩვენი უკეთესი მომავლისათვის, მას ალტერნატივა არ აქვს. ხომ გახსოვთ ჩვენი ისტორია და წინაპრები ერთთავად ერთგული მეკავშირის ძებნაში იყვნენ, ეძებდნენ ისეთ სახელმწიფოებს, ვინც ქართველი ერის უსაფრთხოების და გადარჩენისათვის გარანტიას მოგვცემდა. ქართველები საუკუნეების მანძილზე დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ და ვიბრძვით ახლაც, გვინდა ვიყოთ იქ, სადაც მეტი დამოუკიდებლობა და თავისუფლებაა.

ამ სტატუსმა ახლა ქართველებს მეტი პასუხისმგებლობა დაგვაკისრა. მოგვიწევს მეტი შრომა, მეტი პროფესიონალიზმი, მეტი კვალიფიკაცია, ერთი სიტყვით, კლასიკური განათლება. ვისაც სწავლა და შრომა ეზარება, სწორედ მათ ყველაზე ძალიან ეშინიათ ევროინტეგრაციის, ზოგიერთებს ეშინიათ, თითოქოს დავკარგავთ მომავალს. არადა, ევროპა სწორედ ის სივრცეა, სადაც სხვადასხვა ერისა და ეროვნების ადამიანები ადვილად ინარჩუნებენ ყველაზე მნიშვნელოვანს და რას დავკარგავთ და რას შევინარჩუნებთ, ეს მხოლოდ ჩვენზე იქნება დამოკიდებული. ევროპული ღირებულებები ჩვენთვის მისაღებია. და ჩვენთვის არაფერია უჩვეულო და უცხო, ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობაზე ჯერ კიდევ შოთა რუსთაველი წერდა. ევროპულ იდეებზე ბევრს წერდნენ და ფიქრობდნენ ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ნიკოლაძე და მრავალი სხვა. სწორედ ევროპულმა განათლებამ გაუხსნა გზა ჩვენს ახალგაზრდობას, რომელთა იმედი ნამდვილად გვაქვს.

ქართველთა ლოზუნგი კი მხოლოდ ერთია - „წინ ევროპისაკენ“.

P.S. „ევროპული მომავლის“ თემის გაგრძელებას მომდევნო წერილებშიც შემოგთავაზებთ.

ვალერიან ლომიძე

საახალწლო განწყობიდან ყოფით რეალობამდე

საახალწლო განწყობას ნამდვილად ქმნის განათებული და გირლიანდებით ქალაქი. გარემო, სადაც ფეხით თუ ტრანსპორტით გადაადგილება გვიწევს. ხალხმრავლობა ქუჩებსა თუ მარკეტებში სისტემატურ ხასიათს იღებს. ერთმანეთისათვის საჩუქრების შერჩევის სურვილიც ზრუნვისა და პატივისცემის გამოხატულებასთან ასოცირდება. ყოფით საკითხებს ერთი შეხედვით მოქალაქეთა უმრავლესობა გვერდით დებს. ახალი წლის შემობრძანებას ახალ იმედებსა და ბედნიერ განწყობას უკავშირებს.

ასეთივე განწყობით შეხვდნენ ბორჯომელები ბორჯომსა და ბაკურიანში მყოფ სტუმრებს, რომელთა ხალხმრავლობა ახალი წლის დადგომამდე და დადგომის შემდეგ შეინიშნებოდა. გადატვირთული ავტომობილების მოძრაობა გზებზე, სტუმრებით სავსე კაფე-ბარები და რესტორნები, სადაც ადგილის მოძებნა პრობლემას წარმოადგენდა. აღნიშნული პირდაპირ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ჩვენი მხარე თანდათან უფრო და უფრო პოპულარული ხდება და საზოგადოების, დამსვენებლებისა და ტურისტების მოთხოვნებს პასუხობს.

ნათია დუმბაძე, 25 წლის: - ბათუმიდან მეგობრებთან ერთად ვსტუმრობ ბორჯომს. ქალაქის ცხოვრების რიტმი და კაფეები ძალიან მომეწონა, საახალწლო განწყობას ვგრძნობთ ყველგან. ბორჯომიდან ვაპირებთ წასვლამდე ბაკურიანშიც გავისეირნოთ. გვითხრეს, რომ „კუკუშკა“ აღარ დადის. გული დაგვწყდა. ვიმედოვნებთ აღდგება და ჩვენც ვიმგზავრებთ ბორჯომიდან ბაკურიანში ყველასთვის ცნობილი და საყვარელი მატარებლით.

თიკო ბარამიძე, 35 წლის: - ახალ წელს ბორჯომში შევხვდი. შვილებთან და მეუღლესთან ერთად. გვსურდა განსხვავებულად შევხვედროდით 2024 წელს, საზღვარგარეთ წასვლას ბორჯომში დასვენება ვარჩიეთ. ღონისძიებებს დავესწარით და ძალიან მოგვეწონა თქვენთან შექმნილი საახალწლო განწყობა. ვისურვებ ასეთი განწყობა გვქონოდეს მთელი წლის განმავლობაში.

თაკო მაისურაძე, 24 წლის: - ახალციხიდან გამოვისეირნეთ ბორჯომში. გვაინტერესებდა, ადგილზე გვენახა თქვენი ულამაზესი ნაძვის ხე. ძალიან მოგვეწონა გარემო. ზღაპრულადაა გაფორმებული და ძალიან უხდება ქალაქს. ვისურვებ ასე მხიარული განწყობით გაგვევლოს მთელი წელი.

რა თქმა უნდა, ყოფით რეალობას ყოველთვის საახალწლო განწყობით ვერ შეხვდები, მაგრამ მთავარია, გჯეროდეს ახალი წლის და მომავლის.

იზა იანვარაშვილი

2024 წლის პროგრამებული ბიუჯეტი დამატებით ახალ ცვლილებებს ითვალისწინებს

სრული სამედიცინო დაფინანსება გაეწიოთ 5 წლამდე ასაკის ბავშვებს, ასევე საპენსიო ასაკის პირებს. მაქსიმალური გასაცემი თანხა 3000 ლარი;

ახალშობილის ოჯახი 12 თვის განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებს 100 ლარს, ასევე დახმარებას მიიღებს ის ოჯახი, რომლის ახალშობილი დაიბადა წინა წლის დეკემბერში.

მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით ისარგებლებს ყველა მოქალაქე, სტაციონარში წოლის შემდგომ 100 ლარის ნაცვლად 200 ლარით;

100 ლარის ნაცვლად 200 ლარით დაფინანსდებიან ის ბენეფიციარები, რომლებიც იმყოფებიან მუდმივ მწოლიარე მდგომარეობაში, არ ექვემდებარებიან გადაადგილებას და ესაჭიროებათ მედიკამენტების და ჰიგიენური საშუალებების შეძენა;

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვის მედიკამენტებით უზრუნველყოფა ერთჯერადად 100 ლარის ნაცვლად იზრდება 150 ლარით;

მედიკამენტების შესაძენად საპენსიო ასაკის სოციალურად დაუცველი ის ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 200 000-ს (წინა წელს ქულა იყო 65 000) დახმარება გაეწიოთ 200 ლარის ოდენობით ერთჯერადად.

მედიკამენტების შესაძენად ერთჯერადად 500 ლარის ოდენობით დახმარება გაეწიათ შშმ ვეტერანებს;

100 წელს გადაცილებული მოქალაქეები ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით დახმარების გარდა მიიღებენ 100 წლის იუბილეზე ერთჯერადად 1000 ლარს;

კრიზისულ სიტუაციაში მყოფ ბავშვებს „ბავშვთა საერთაშორისო დღეს“-თან დაკავშირებით ერთჯერადად ჩაერიცხებათ 100 ლარის ოდენობის თანხა;

მრავალშვილიანი ოჯახების კომუნალური გადასახადების წილობრივი დაფინანსება 45 ლარის ნაცვლად გაიზარდა და გახდა 60 ლარი; ასევე აღნიშნული სუბსიდირებით მრავალშვილიან ოჯახებთან ერთად ისარგებლებენ მარტოხელა ოჯახებიც;

ონკოლოგიურ პაციენტებს საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაეწევათ მედიკამენტების შესაძენადაც.

წერილი რედაქციას

მკითხველებს მომავალშიც თქვენი იმედი გვაქვს

ბატონო რედაქტორო!

გავეცანი გაზეთ „ბორჯომის“ 2023 წლის 7 დეკემბრის (№51) ნომერში გამოქვეყნებულ წერილს და მინდა მადლობა გადაგიხადოთ ისეთი ინფორმაციების გაზეთში ბეჭდვისათვის, რომელიც ბორჯომის მოსახლეობას ჭირდება და ეს ეხება მიწების საკითხს.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღებისთანავე დღემდე მიწების საკითხი ბევრისთვის გაურკვეველია, თქვენი გაზეთით ძალიან ბევრმა მოქალაქემ (ჩემმა სამეზობლომ) იპოვა სამართალი დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთები

გაზეთის მეშვეობით. თქვენი გაზეთი, სადაც მიწების კითხვა-პასუხები იყო, ბევრ ადგილას წარვადგინეთ და დადებითი პასუხი მივიღეთ. შემიძლია გავაკეთო დასკვნა, მიწის მესაკუთრეების უმრავლესობამ საკუთარი მიწის ნაკვეთები დაირეგისტრირა და დადებითი პასუხები მივიღეთ, გაზეთი „ბორჯომი“ გამოვიყენეთ როგორც დოკუმენტი.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო გაზეთ „ბორჯომის“ მეშვეობით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თანაშემწეს სოფლის მეურნეობის მართვის საკითხებში, ბატონ თედო მელიქიძე, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო (კომპეტენტური) სპეციალისტია მიწის საკითხებში.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ, ერთ კითხვაზე გამცეთ გაზეთ „ბორჯომის“ მეშვეობით პასუხი. ხსენებულ გაზეთში კითხვა იყო დასმული ჟურნალისტის მიერ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ. ძალიან მაინტერესებს ეს კითხვა? იმედი მაქვს, უპასუხოდ არ დამტოვებთ.

მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებისათვის მისაკუთრებული მიწის ნაკვეთის ფართობი როგორ დგინდება და კიდევ, ქალაქ მშენებლობითი დოკუმენტაციას არარსებობის შემთხვევაში, როგორ ხორციელდება მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა.

ეძვთიმე ლილუაშვილი,
ხანძთელის ქ. 345-ში მცხოვრები.

რედაქციისაგან: კითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ თქვენთვის კარგად ნაცნობ ბატონ თედო მელიქიძეს.

პასუხი: - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის მისაკუთრებული მიწის ნაკვეთის ფართობი დგინდება საცხოვრებელი სახლის ფართობის გაყოფით, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობით კ2 კოეფიციენტზე 1 ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით (უფლებრივი ზონირება), ხოლო საცხოვრებელი სახლის და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის მანძილი გამოითვლება ა) ფორმულით, ბ) საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის საზღვრებს შორის მანძილით, გ) კოეფიციენტის, დ) შენობის სიმაღლით მიწის ნაკვეთის საზღვრების პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს განაშენიანებული ტერიტორიის რეალური მდგომარეობა და არსებული ქალაქი მშენებლობითი დოკუმენტაცია.

რაც შეეხება მეორე კითხვას - ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის არ არსებობის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენა ხორციელდება არსებული წითელი ხაზების, მომიჯნავე მიწის ნაკვეთების საზღვრების და გასასვლელების, ბუნებრივი საზღვრების, მაგისტრალური საინჟინრო-სატრანსპორტო დოკუმენტაციების გასხვისების ზონების საზღვრების, სხვა დასაბუთებული ქალაქმშენებლობითი მოთხოვნებით და მიწის ნაკვეთის რეალური გამოყენების ფაქტორის გათვალისწინებით.

თედო მელიქიძე,
მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, სოფლის მეურნეობის მართვის საკითხებში.

შობას დაბადებული

მშობლიური კუთხის სიყვარულში განვლილ წლებში

არიან ადამიანები, რომლებიც მშობლიური კუთხის სიყვარულით ცხოვრობენ, სწორედ ასეთ პიროვნებადაა აღიარებული ბორჯომის ხეობაზე, მის დაბა-სოფლებზე უსაზღვროდ შეყავებული პიროვნება, სოფელ თორში დაბადებული ბატონი ვანო გელაშვილი, რომელიც სანდაზმულობის მიუხედავად დიდი სითბოთი და სიყვარულით აღწერს მშობლიურ კუთხეში გატარებულ წლებს. ბატონ ვანოს 7 იანვარს დაბადების დღე ჰქონდა. ბედნიერია პიროვნება, რომელიც შობის საზეიმოდ აღნიშვნის დღესაა დაბადებული. შობის მადლი და სიკეთე არ მოკლებოდეს ჩვენს უფროს მეგობარს ვანო გელაშვილს.



ბატონო ვანო 1932 წლის 7 იანვარს დაიბადა, ქრისტეს დაბადების დღეს, ბორჯომის რაიონის სოფელ თორში, სადაც გაატარა ბავშვობის წლები, იზრდებოდა სოფელ ტბაზე. მამამისი ვასილი იყო, შესანიშნავი ხელოსანი, თითქმის ნახევარი სოფლის ხის სახლები მისი აშენებულია. ამავე დროს მუსიკა უყვარდა, ეხერხებოდა სიმღერა, უკრავდა დუდუკზე და გარმონზე, ხოლო დედა, მარიამ შევჩენკო საქართველოშია დაბადებული. თავისი მშობლიური უკრაინული ენა ნაკლებად იცოდა. იყო კარგი დიასახლისი, მუსიკალური სმენაც ქონდა, შესანიშნავად უკრავდა დაირაზე.

ბატონ ვანოს ყავდა სამი დედმამიშვილი. დღეს ცოცხალია მისი და, რომელიც მედიცინის მუშაკია.

წაღვერის საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა. ბავშვობის პერიოდი ძალზე მძიმე ქონდა. ქვეყანაში ომი მძვინვარებდა და ახალგაზრდების დიდი ნაწილი არდადეგების დროს უფროსებთან ერთად კოლმეურნეობაში მუშაობდნენ. უყვარდა სპორტი, ზამთრობით თხილამურები. რესპუბლიკის მასშტაბით სასკოლო შეჯიბრებაში ვანო ჩემპიონიც გახდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯარში გაიწვიეს. ასე მოხვდა ლიტვაში. საავიაციო სასწავლებელში, ერთწლიანი თეორიული მოსამზადებელი სწავლის დამთავრებისას გაანაწილეს ქ. ბობრუისკში მოქმედ საავიაციო გარნიზონში, პრაქტიკის გასავლელად. უშუალოდ მუშაობდა სამხედრო საბრძოლო ოთხმატორიან ბომბდამშენ თვითმფრინავზე. ერთი წლის შემდეგ, პრაქტიკის დამთავრებისა და გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიენიჭა ლეიტენანტის წოდება.

სკოლაში სწავლისას მუსიკის ტრფიალი იყო, დგამდა პატარ-პატარა სკეჩებს, აწყობდა კონცერტებს, ომამდე ბევრი დამსვენებელი ჩამოდიოდა წაღვერში, იმხანად რუსთაველის სახელობის თეატრის რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა მამამისი დეკორატორად აიყვანა და ბატონი ვანოც თან დაყვებოდა. კარგად იცნობდა აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძეს, გიორგი დავითაშვილს, გიორგი შავგულიძეს, სანდრო ჟორჟოლიანს და სხვებს.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ სერგი ზაქარიაძის სახელობის კულტსასწავლებელში ჩაირიცხა. მალე კიდეც იქორწინა თბილისელ, პედაგოგ სვეტლანა ოსიპოვაზე, შეეძინათ ორი შვილი, ინა და გიორგი, ქალიშვილი ინა პედაგოგია, ხოლო ვაჟი გიორგი ინჟინერია, ორივე დაოჯახებულია. ბაბუა ხარობს შვილიშვილების წარმატებებით. 1962-წელს, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მიენიჭა სახელმწიფო თეატრის დამდგმელ-რეჟისორის წოდება. მუშაობდა ჭიათურისა და თელავის თეატრებში, - მერე თბილისში - პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში, სახალხო თეატრის მთავარ რეჟისორად იმუშავა. დადგა 10 სპექტაკლი.

1960-წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ტელევიზიის მუსიკალურ რედაქციაში, - რეჟისორად, სადაც 33 წელი იღვაწა. გადაღებული და დადგმული აქვს უამრავი საავტორო გადაცემები, ხოლო 1983-წელს პარალელურად მუშაობდა რკინიგზის სამმართველოში - პრესსამსახურის ხელმძღვანელად.

1983-წლიდან დამსახურებულ პენსიაზეა, მაგრამ დღესაც აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ-გაზეთებში, სადაც იბეჭდება მისი ნოველები, მოთხრობები, ლექსები, მოგონებები. ამავე დროს წერს თავის განვლილ ცხოვრებაზე მემუარებს.

უსაზღვროდ უყვარს მშობლიური ბორჯომის ხეობა - სოფელი ტბა. ისტორიული თორის დიდი გულშემატკივარია. ყოველ ზაფხულს შემოივლის თორს, მეზობელ სოფლებს, გაზეთ „ბორჯომის“ ხშირი სტუმარია. არასდროს ცარიელი ხელით არ მოდის, ყოველთვის მოაქვს ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში მის მიერ გამოქვეყნებული წერილები, ჩვენც გვანებივრებს თავისი ნაწერებით. წელს, 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე 92 წელი შეუსრულდა და ისევ მხნედ გამოიყურება, წლებს არ ემორჩილება, კვლავ ახალგაზრდული ენერგიითა და ენთუზიაზმით გამოირჩევა.

გულწრფელად ვულოცავთ ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ ბატონ ვანო გელაშვილს დაბადების დღეს, დიდხანს სიცოცხლეს და ტკბილ მოხუცებულობას ვუსურვებთ.

კვლავაც მხნედ ბატონო ვანო, ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებების პერიოდია. გარდაქმნას ფეხი უნდა ავუწყოთ. მომავალ შეხვედრამდე, დიდი სიყვარულით და პატივისცემით თქვენი უმცროსი მეგობარი.

ვალერიან ლომიძე.

ტურისტული სეზონის აბ-კარგი

ცუდი ტენდენციები დამკვიდრდა ბოლო დროს ჩვენში - სხვისი შრომის გაუფასურება, ეს ერთი, და კიდევ, თუ ფულს იხდის ადამიანი სადმე, თვლის, რომ მისთვის ყველაფერი შესაძლებელია - აღზრდა, ზრდილობა, კულტურა, სხვისი ჭირვარამის გაზიარება უკვე უკანა პლანზე იწევს.რა სიტუაციებს არ შეხვდებით განსაკუთრებით ხალხმრავალ ადგილებში, მითუმეტეს კურორტებზე სეზონის დროს -

დამსვენებელი ქირას იხდის ბინაში, თხილამურსა თუ ციგაში, მაგრამ არ თვლის თავს ვალდებულად, მოუფრთხილდეს ნაქირავებ ნივთსა თუ მითუმეტეს ბინას. გაფუჭებული კედლები და ავეჯი, დამტვრეული ჭურჭელი და ციგები... ჯიუტად ამტკიცებენ, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩაიბარეს ციგა თუ თხილამური და სინდისიც არ აწუხებთ. მთავარია, რომ ფული გადაიხადეს, ბევრი ზუსტად ამას ხმამაღლა და თავხედურად იძახის: „მე ფულს ვიხდი და მინდა დავამტვრევ და მინდა გადავაგდებ!“ უამრავი აღშფოთებული მომხმარებელი მაღაზიების რიგებში მოთხოვნით, რომ მხოლოდ მათ მოემსახურონ რიგის გარეშე. შუაღამისას ახალგაზრდების ჯგუფები დაიარებიან ქუჩებში და მთელ ხმაზე ღრიალებენ - მერე რა რომ ღამის ორი-სამი საათია და ხალხს ძინავს, მათ ხომ გართობა უნდათ და ესაა მთავარი. ფული და გართობა გამხდარა მათთვის თვითმიზანი და მთავარი ფასეულობა და ვერ აცნობიერებენ ამას.

მგონი ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ასე ნალოლიავები ტურისტები თავზე შევიჯინეთ. თუ თოვს - რატომ თოვს, თოვლი არ მოდის - რატომღაც ბოდიში უნდა ვიხადოთ ამის გამო. თვითონვე ქმნიან გზებზე საცობებს და ფეისბუქ გვერდის საშუალებით სხვებს ლანძღავენ და ჩირქს სცხებენ ბაკურიანს თუ სხვა ადგილებს. საკურორტო სეზონის დაწყების და დამსვენებლების ჩამოსვლისთანავე ნაგვით რომ გადაივსება ბაკურიანი და დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები ქანცგაწყვეტამდე მუშაობენ, მავანი ურცხვად ულებს ფოტოებს თავისივე დაყრილ ნაგავს და ისევ ბაკურიანს და ბაკურიანელს ლანძღავს სიტყვებით, „უყურეთ, რას გავს ბაკურიანი!“

მოჭარბებული მანქანების შესახებ ათასჯერ და კიდევ ათიათასჯერ ვთქვით და ალბათ, კიდევ ბევრჯერ ვიტყვით, სამწუხაროდ. მანქანები არის ყველგან, ყველა კუთხე-კუნჭულში, ყველა მოსახვევსა თუ ჩიხში, ნებისმიერ ფეხის დასადგამ ადგილზე. მანქანა უფრო ფასობს, რკინის ხროვა, ვიდრე ადამიანი, ცოცხალი არსება. ამჯერად მანქანებმა გაზაფხულიდან ნალოლიავებ ნარგავებს და პატარა სკვერებს გადაუარეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. საზოგადოებრივი ცენტრის წინ ჯუჯა ვარდებითა და სხვა მინიატურული ნარგავებით სავსე პატარა ტერიტორიაზე უცერემონიოდ შეჩერებულმა (ყველა ტერიტორიას საპარკინგედ იყენებენ!) უშველებელმა ჯიპებმა

სრულიად გააპარტახეს და გადათელეს სხვისი ნაშრომი და ნაწვალები. ასეთივე ბედი ეწია წინა წლებში ტროტუარებზე დარგულ ახალგაზრდა ხეებსაც. მადლობა ღმერთს, ამ ფაქტს დროული რეაგირება მოჰყვა ბაკურიანის განვითარების სააგენტოს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლების მხრიდან და გარდა იმისა, რომ დანაშაულის ფაქტზე წასწრებულს საყვედური გამოეცხადა, სკვერიც შემოღობეს და ნარგავებს საფრთხე აღარ ემუქრება.

ეშველება, ბატონო, ეშველება! სკვერებსაც შემოვრაგავთ, მანქანების გადაადგილებასაც შევზღუდავთ. დამსვენებელიც ისეთივე ვალდებულია გარემოს თუ სხვის ნივთებს მოუაროს, როგორც ადგილობრივი. ბაკურიანი მწვანე კურორტია და არა ავტომანქანების სადგომი!

რუსუდან სხირგლაძე

პრობლემების კვლდაკვალ

როდემდე გვეროთ ძაღლებისადმი არადამიანურ მოპყრობაგე?!

რამდენიმე დღის წინ საშინელი კადრები გავრცელდა სოციალურ ქსელში, სადაც ჩანს, რომ მამაკაცი, ხელკეტით უმოწყალოდ სცემს დაბმულ ძაღლს და ცხოველი ცემისგან კვდება. ცხოველთა დამცველებს ეს ფაქტი არ გამოპარვიათ და რა თქმა უნდა, ცხოველის მიმართ სასტიკად მოპყრობის ფაქტზე კანონის შესაბამისი მუხლით საქმეც აღიძრა. უამრავი ადამიანი გამოეხმაურა აღნიშნულ ფაქტს, რამდენიმე ადამიანმა საკუთარი მოსაზრება საკუთარი ფეისბუქის გვერდზე დააფიქსირა. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება გიორგი კეკელიძის მიერ გამოქვეყნებულმა პოსტმა მიიქცია, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველებსაც უცვლელად გთავაზობთ:

მე მახსოვს, როგორ ხოცავდნენ სოფელში ძაღლებს, დამშეულ ძაღლებს, იმის გამო, რომ საბუდარში კვერცხი შეჭამეს. „გაწუწკდა და მოსაკლავია“ - ამბობდა ადამიანი, გამოჰქონდა თოფი და უმიზნებდა. ძაღლი უყურებდა პატრონს და პატრონი უმიზნებდა. ბებიაჩემი ყურებზე ხელებს მაფარებდა, მაგრამ თითების ღრიჭოებში მაინც აღწევდა გაკვირვებული წკმუტუნი. და კლავდა ძაღლს ადამიანი, ყველაზე წუწკი არსება დედამიწაზე, კლავდა სიწუწკისთვის, მერე მარხავდა და თოფს წმენდდა ბინძური მზერით.

იმ ცხოვრებაში, ის ძაღლი და ის კაცი აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს და იმ სამყაროში, რადგან ყველაფერი უკულმაა, უკულმაა ანდაზებიც და იმ სამყაროში „პატრონი ძაღლს ვერ ცნობს“, რადგან ძაღლი იქნება თეთრი ფრთებით და ძაღლს ლაპარაკი ეცოდინება და ძაღლს პატრონი ეყვარება, ძაღლს თავში ტყვიით და ზურგზე ფრთებით. საკუთარი მკვლელი ეყვარება, რადგან ხომ გითხარით, ძაღლს რომ უყვარს, ის სიყვარული ადამიანისთვის გაუგებარია და კიდევ კარგი, რომ გაუგებარია. ამიტომაც არის ადამიანი ადამიანი და ძაღლი - ძაღლი“.

აღნიშნულ ფაქტამდე მოხდა კიდევ ერთი საზარელი შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანმა ძაღლს პროტექნიკა ჩაუდო პირში. ძაღლმა მიიღო სასიკეთო დაზიანება.

ამ ბოლო დროს მომხდრი საზარელი ფაქტებიდან გამომდინარე, მინდა ბატონი გიორგის ზემოთ აღნიშნულ ტექსტს ვუპასუხო და მოგახსენოთ, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის ალბათ უცხო არ არის არსებულ საკითხის შესახებ, დაწერილი უამრავი წერილი და ქუჩაში უკვე წლების მანძილზე უპატრონოდ მოსიარულე ძაღლები ჩვენ საკურორტო ქალაქში. ყოველ ფეხის ნაბიჯზე სათითაოდ ან ჯგროდ რომ დადიან და უკვე არც დიდს ერიდებიან და არც პატარას. ქალაქის ცენტრსა თუ ბინებთან მდგარ ურნებთან ხომ მათ მიერ დაგლეჯილი პარკებითაა სავსე მიდამო, რომელიც ურნიდან ამოაქვთ საკვების პოვნის იმედად და ბოლო ფაქტი მახსოვს, როდესაც ნაგვის პარკით ხელში ქალაქში მდგარ ერთ-ერთ ურნაში ნაგავი უნდა ჩამეყარა, ურნიდან ძაღლების მიერ ამოყრილი ნაგვის პარკები დამხვდა და ლამის უხერხულობის მომენტი ვიგრძენი, საერთოდ ჩამედგა კი იმ ურნაში ნაგვის პარკი, რომელსაც იქვე ნაგვის ურნის შორიახლოს მდგარი დამშეული ძაღლები რამდენიმე წუთში ისევ ანალოგიურ მდგომარეობაში ჩააგდებდნენ?

ალბათ, არც ერთ ადამიანს, მითუმეტეს ჭკუათმყოფელს, რომლის ფსიქიკური მდგომარეობაც ნორმაშია, რომ ცხოველებზე ძალადობა სიამოვნებას გვრიდეს. თუმცა, მიმოიხედეთ გარშემო ადამიანებო და თვალს ნუ დაიბრმავებთ, არც ერთი დღე არ გავა საინფორმაციო ეთერში არ გვამცნონ, რომ ოჯახის წევრის მხრიდან მეორე ადამიანზე ძალადობის თუ მკვლელობის ფაქტი მოხდა და როდესაც ტრანსპარენტებით და შეძახილებით ცხოველთა დამცველები გამოდიან და უპატრონო ძაღლების დაცვას იწყებენ და საქველმოქმედო კონცერტიც კი გამართეს 17 იანვარს, ცხოველთა დასახმარებლად

სახელწოდებით „მომე თათი“, ცოტა არ იყოს მათი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, ეჭვის შეტანა ურიგო არ იქნებოდა, რადგანაც, ქვეყანაში, სადაც ამდენი უმუშევარი და მშიერი ბავშვი ქუჩაშია გამოსული და მოწყალებას ითხოვს, ნეტავ მარტო მე არ მახსენდება? ოდესმე თუ ყოფილა შემთხვევა, რომ უპატრონო ბავშვებისთვის რაიმე საქვედმოქმედო კონცერტი გაემართათ? და თუ დახმარებია ე.წ. ქართული „ელიტა“, როგორც თვითონ უწოდებენ საკუთარ თავს, გაჭირვებულ ადამიანებს?

ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ქცევა ზუსტად ისე გამოდის, უპატრონო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო (ამ შემთხვევაში ძაღლებს) და კიდევ როდემდე მოგვიწევს ასე სირაქლემას პოზიციაში ყოფნა და ამდენი ცხოველთა დამცველის ატანა, ესაა საკითხავი.

P.S. ძაღლიც კი არ დავიწყებს კაცის ლუკმის გემოს, ის არასდროს ვიღალატებს, რაც ვინდ ბევრი სცემო. მაგრამ კაცი, ზოგი კაცი, რომ გადაყვე თანაც, უმნიშვნელო წყინისთვის გულს დაგასობს დანას.

დავფიქრდეთ, ძაღლმა არ გვაჯობოს, ძაღლი ხომ ადამიანის ერთგული მეგობარია, მხეცურად ნუ მოვეპყრობით, ისიც სულიერი არსებაა! თუ მისი მოვლა-პატრონობა არ შეგიძლია, არ უნდა იყოლიო, თუ არადა, შენი ქცევით ძაღლზე უარესი ხარ!

ნატო მელიქიძე

2024 წელს მოსახლეობის აღწერა იწყება

2024 წელს იწყება მოსახლეობის მიმდინარე აღწერის პროცესი. საკითხის მნიშვნელობაზე საუბრისას ხაზი გაესვა, რომ ღონისძიება საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩატარდება.

მეცი ადამიანურობის

ზამთრის სეზონი ვირუსების გარეშე ხომ ყოვლად წარმოუდგენელია და მითუმეტეს, როდესაც საქმე ოჯახში სამზე მეტ ბავშვს ეხება, რომლებიც სკოლაში და საბავშვო ბაღში დადიან, კიდევ უფრო რთულადაა სიტუაცია, რადგანაც ზემოთ აღნიშნული დაწესებულებები, სეზონზე ფაქტიურად ვირუსების კერაა. არც მე გახლავართ გამონაკლისი და ვერაგი ვირუსის შედეგები საკუთარ თავზე ვიწვნიე, როდესაც ჩემ უმცროს გოგონას დეკემბრის დასაწყისში ყელ-ყურცხვირის ვირუსი ერთდროულად შეხვდა და ფაქტიურად 5 დღის მანძილზე უშედეგოდ ვებრძოდით მაღალ ტემპერატურას, დაწევის შემთხვევაშიც კი 37 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოდიოდა. 5 დღის შემდეგ, სანამ ანტიბიოტიკები არ ჩართო, მკურნალმა ექიმმა დამატებით სხვა მედიკამენტებთან ერთად ტემპერატურამ მხოლოდ მაშინ დაიწია. 2 კვირა ფაქტიურად სკოლაში არ უვლია ბავშვს. მიუხედავად იმისა, რომ თვეზე მეტი გავიდა აღნიშნული ვირუსის შემდეგ, მაინც კიდევ დიდი დრო დასჭირდება, რომ იმუნიტეტი აღდგეს. ჩვენ გარშემო მსგავსი და კიდევ განსხვავებული ტიპის ვირუსებით ბევრი ავადდება, აგერ იანვარში კიდევ დამატებით რამდენიმე სხვადასხვა სახის ვირუსი ცირკულირებს. სამწუხაროდ, ეამოჩენა ეგმაპითებს მინდა ჩემი გულისტკივილი და გაოცება გამოვხატო უპასუხისმგებლო მშობლების მიმართ, რომელთაც გათავისებული არ აქვთ ის ფაქტი, რომ როდესაც შვილი ავად ყავთ, ან ბოლომდე გამოაჯანმრთელონ ისინი, ან საერთოდ ნუ ატარებენ ხალხმრავალ ადგილებში, სადაც გადადების რისკი საკმაოდ დიდია. მინდა ჩემი აღშფოთება გამოვხატო იმ მშობლების მიმართაც, რომლებიც საახალწლო დღეებში არ მოერიდენ და სპექტაკლზე ისეთი ბავშვები ისხდნენ, რომელთაც ისე ახველებდათ, რომ ხმები ლამის დაფარეს. ძალიან რთულია თუნდაც ჩემთვის, ან ჩემ მსგავსად ასეთ რთულ ვირუს გადატანილი ბავშვის მშობლისთვის იმის გააზრება, რომ შესაძლოა მათ შვილს დაქვეითებული იმუნიტეტის დროს ისევ ანალოგიურად შეხვდეს ვირუსი. არც ჩვეულებრივი მოზრდილები არ არიან გამონაკლისი, რომლებიც მინახავს, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტით სრულიად დაუცველად, პირბადის გარეშე დადიან, სურდო აქვთ, ახველებენ და ფაქტიურად, გარშემო ვირუსებს აფრქვევენ. დამერწმუნეთ, ყველამ ვიცით, რომ მედიკამენტები საკმაოდ ძვირია და მითუმეტეს, როდესაც საქმე საკმაოდ რთულ ვირუსს ეხება, რა დროსაც რამდენიმე კონკრეტულ ორგანოზე ესაჭიროება ადამიანს მკურნალობა დიდ თანხებთან გვაქვს საქმე? ყველას არ აქვს დახმარება, ყველა ვერ სარგებლობს დაზღვევით და ა.შ. და როდესაც საქმე ადამიანის ჯანმრთელობას და მითუმეტეს ბავშვის ჯანმრთელობას ეხება ცოტა მეტი ადამიანურობის გამოჩენა გვმართებს თითოეული საზოგადოების წევრს.

ყველას ჯანმრთელობას გისურვებთ!

ნატო მელიქიძე

საინტერესო ამბების სამყაროში

ცხენოსნობის ისტორიიდან...

სტიპლ-ჩეზი, დოღის განსაკუთრებული სახეობა და რეგულარულად 1830 წლიდან ეწყობა.

პირველად დაბრკოლებებიანი დოღი ინგლისში 1837 წელს მეგულში ჩატარდა. ორი წლის შემდეგ ის გადაიტანეს ქალაქ ლივერპულის მახლობლად - დაბა ენტრიში. 1847 წლიდან მას „ლივერპულის დიდი ნაციონალური სტიპლ-ჩეზი“ ჰქვია და დღესაც ამ სახელწოდებითაა ცნობილი.

შეჯიბრებაში 40-50 მხედარი მონაწილეობს. რთული ტრასა იწვევს მხედრებისა და ცხენების საშინელ გადაქანცვას, ხშირია უბედური შემთხვევებიც.

1912 წელს ლივერპულს ეწვა რუს კავალერისტ-ოფიცერთა ჯგუფი. ეს იყო რუსი მხედრების პირველი მონაწილეობა საზღვარგარეთ დაბრკოლებათა გადალახვაში (კონკურსში). დებიუტი გუნდური გამარჯვებით დასრულდა. იმავე დროს დაემთხვა ტრადიციული პრიზის გათამაშება სტიპლ-ცეზში.

და აი, სტარტზე თავი მოიყარა სხვადასხვა ქვეყნების 62 მხედარმა. შეჯიბრება საშინელ სივიწროვესა და ორომტრიალში ჩატარდა. გამარჯვება წილად ხვდა რუსეთის მხედრობის მონაწილეს საქართველოს მკვიდრს კონსტანტინე ავალიშვილს.

ავალიშვილმა პირველმა რუსეთის ისტორიაში მოიგო „ლივერპულის დიდი ნაციონალური სტიპ-ჩეზი“.

პირველი მსოფლიო ომის დროს კოტე ავალიშვილი მეთაურობდა გერმანელების წინააღმდეგ მოქმედ ცხენოსანთა ლეგიონს. ლეგენდასავით შემოგვრჩა რუსეთის არმიის ოფიცრის კონსტანტინე ავალიშვილის გმირობის ამბავი. ერთხელ, დუნაისპირა სოფელში ქართველი მეთაური თავისი ცხენოსნებით გერმანელების მიერ ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. მდინარისპირა ტყე გერმანელებით იყო სავსე. ბრძოლამ დიდხანს გასტანა. თითქმის მთელი ლეგიონი გაწყდა. ტყვედ ჩავარდნის საფრთხე დაემუქრა მათ, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

გერმანელები განსაკუთრებულად რაზმის მეთაურის ცოცხლად ჩაგდებას ლამობდნენ. გზა ჩაკეტილი იყო, მტერი რკალად ერტყმოდა ამხედრებულ მეთაურს. მამაცმა ქართველმა სხვა გამოსავალი რომ ვერ მოძებნა, ჰკრა ქუსლი თავის შავ ბედაურს და თვალუწვდენელი სიმაღლის კედლიდან პირდაპირ დუნაიში გადაეშვა. გაოგნებული შეჰყურებდა ამ სურათს გერმანელი მეთაური განაცვიფრა მეტოქის თავგანწირვამ და მეორე ნაპირზე გადასულ მხედარს ესღა დაადევნა: „ბრავო, ოფიცერო...“

1918 წლის შემდეგ კონსტანტინე ავალიშვილი თბილისში დიდუბის ცნობილ იპოდრომზე იწყებს მუშაობას, როგორც მწვრთნელი და სპეციალისტი.

დიდუბეში ის დიდხანს მუშაობდა. ქართველ მხედართა მთელი პლეადის აღმზრდილი, მათი სული და გული იყო.

თამარ მანველიშვილი.

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის მრავალრიცხოვანი მრევლი და მისი წინამძღვარი მამა გერასიმე თანაგრძნობას უცხადებენ მარინა ტაბატაძეს დედის

მერი ხუციშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თეიდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომაძე

პოეზიის კუთხე

ქრისტეს მოციქულებს

მადლიანნო კაცებო, მადლიანნო მამებო,
ქრისტეს მოციქულებო, ქრისტეს მოწაფეებო,
ღმერთს ესაუბრებოდით და მის სიტყვას ისმენდით,
ახლა გაბრწყინებულხართ ღმერთთან ახლოს მზეებრო.
ეს ხომ საოცრებაა, სასწაული ასეთი,
უფლის თვალებს ხედავდით. გთვლიდით როგორც მეგობრებს,
თუმც სოფელმა ვერაგმა, არ მიგიღოთ არცერთი,
მასთან ერთად გდევნიდნენ, როგორც ქრისტეს მეუმრებს.
უსაყვარლეს მოძღვარის გამეტების მხილველნი,
ხართ მომსწრენი იესოს დევნისა და შუღლისა,
თქვენ იყავით მტკიცენი, ძლიერნი და შესძელით
მისი სიტყვის გატანა, ერთგულება უფლისა.
დაითმინეთ მრავალი ტანჯვა, დევნა, წამება,
შეასრულეთ ღვთის სიტყვა, ხალხს მოუფინეთ სინათლე,
გზა უჩვენეთ სიცოცხლის, ბნელში მყოფთ და დაცემულთ,
ჭეშმარიტის სწავლებით იქადაგეთ სიმართლე.
თქვენ ადიდეთ სიმართლე უწმინდესო მამებო,
დღესაც თქვენი მადლის გემო ცოდვის ყინულს მიაპობს,
უფლის გვერდით განსჯით ხალხებს, კლდეებო და სალებო,
თორმეტ ტომსაც, სხვა ხალხებსაც, ყველას თავის მიაგოთ.
ქრისტიანებს დღესაც გვმოძღვრავთ, სწორი გზებით ვიაროთ,
პეტრე, თომა, იოანე, ბართლომე და იაკობ,
მათე, სიმონ, თადეოზო, ფილიპე და ანდრია,
ამ მიწაზე თქვენი მოსვლა უფლის დიდი მადლია.

ოლიკო ლომიძე.

რა ვუყოთ, რომ ღარიბი ვარ

მე მდიდარი მეგობრები
არც მყავს და არც მყოლია,
ყოველი ღარიბი-ღატაკი
ჩემი თანასწორია.
არავის იმედი არ მაქვს,
არც მაქვს და არც მჭირდება,
თვით ვიქარვებ ჩემ ჭირ-ვარამს,
როს მტანჯავს გაჭირვება.
რა ვუყოთ, რომ ღარიბი ვარ?
გულითა ვარ მდიდარი,
სუყველას მიმართ კეთილი,
მღიძარი თუ მტირალი.
მეც ხომ მაქვს ჩემი მეობა,
სიამაყე, მეობა,
ჩემი რწმენა და იმედი,
შეურყვნელი მხნეობა.
ყოველნაირსა ქონებას
ძირჩევნია გონება,
ისე ვით სიკვდილ-სიცოცხლე,
გლახას კარგი დროება.
ლექსებსა ვწერ გულით, სულით,
თქვენი სიყვარულითა,
მდიდრებსაც და ღარიბებსაც
გენაცვალეთ გულითა.
სჯობს ერთმანეთს ჩავეხუტოთ
ძმური სიყვარულითა,
კარგს ვერაფერს ვერ მოვიმკით
ჩხუბითა და შურითა.

გურამ ქუნცელი-ივანიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

პურის შებინისას დამრუნემული ხურდა

ასობით მოქალაქეს ყოველდღიურად უწევს შეიძინოს პური. არაერთხელ დავაკვირდი და არ გამომრჩენია მხედველობიდან, როგორ მაწვდის პურს მცხობელი გამყიდველი, ჯერ პურს და შემდეგ მიწოდებს ხურდას. არც თუ სახარბიელო მოქმედებაა, რადგან ამ შემთხვევისას, ჰიგიენის ნორმები მინიმუმამდეა დაყვანილი. ჯერ პურს ეხება და შემდეგ ხურდას, ან ჯერ ხურდას გიბრუნებს და შემდეგ პურს. ამას არსებითი მნიშვნელობა ნაკლებად აქვს. მთავარი ისაა ერთი და იგივე ადამიანია მცხობელიც და გამყიდველიც. ფულთან შეხებისას, ეხება პურს ფულისგან დაბინძურებული ხელებით.

აბსოლუტურად იგივე შემიმჩნევია სწრაფი კვების ობიექტებშიც, სადაც ხშირ შემთხვევაში ზუსტად იგივე მეორდება, მაგრამ გამონაკლისი შემთხვევებიცაა მხოლოდ ორიოდე ობიექტზე, სხვა შემთხვევებში თქვენ შეიძენთ ჰიგიენის ნორმით დაუცველად პურს.

გასაგებია, რომ დამატებითი მოქალაქის დასაქმება საცხობებში დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, რაც ხარჯების რალურად თითქმის გაორმაგებას გულისხმობს. მაგრამ აღნიშნული ქმედებით მოქალაქეები ზარალდებიან, ან არჩევანს მარკეტში დაფასოებულ მრავალფეროვან შეთავაზებაზე აკეთებენ, რომლის ცხობის ტექნოლოგიაც, შეფუთვაც და დიზაინიც განსხვავებულია.

იტყვით, არ გინდა და ნუ შეიძენო! ყველა პროდუქციას თავისი მომხმარებელი კი ჰყავს. მე არ შევიძენ, სხვა შეიძენს. იმ სხვის ინტერესებიც გასათვალისწინებელია, რომ ფულით დაბინძურებული პურის შეძენამ არ მოუწიოს ან ყველაზე საუკეთესო ვერსიად განიხილოს საკუთარი თონის გახსნა. ეს, რა თქმა, უნდა მწარე ირონია ნარევი სიმართლისათვის. კარგია, როდესაც არჩევანის შესაძლებლობა გვაქვს. სხვების ჭირი, ღობეს ჩხირის პრინციპით არ ვიმოქმედოთ.

თქვენ, თუ ამ სტატიის კითხვისას თავი ამოიცანით, ან მკითხველი დაფიქრდა და შეამჩნია, რომ ასეა, თქვენ ბევრჯერ გქონიათ მსგავსი შემთხვევები პურისა და ფულის კომბინაცია ერთად მარილმოყრილი მადლივით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ და ღირსეულად შესთავაზოთ ბორჯომელებს და არა მარტო მათ, რაც სტანდარტი და შესაბამისია და თუ არა, ერთი ადამიანის ხელიდან ჯერ პური, და შემდეგ ხურდა.

დარწმუნებული ვარ, არც მცხობელ-გამყიდველებს და არც ჩვენ, მომხმარებლებს გვხიბლავს მსგავსი მდგომარეობა - ბიზნეს მფლობელებო. სულაც არაა სახარბიელო, არც მყიდველისათვის და არც გამყიდველისათვის, რომელსაც მინიმუმ 2 საქმე მაინც აქვს შეთავსებული, როგორც საზოგადოდ ხდება ხოლმე. ოდნავ მაინც იზრუნეთ მოქალაქეებზე და დასაქმებულებზეც.

იზა იანვარაშვილი

P.S. ისიც საკითხავია, პურის მცხობელებისათვის და საერთოდ სასურსათო მაღაზიის მუშაკებისათვის სამედიცინო შემოწმება თუ არის საგალდებულო! თუ აკონტროლებს ვინმე მათ ჯანმრთელობას?!

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“!

გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, ამიტომ მოგიწოდებთ, არ დარჩეთ გაზეთის გარეშე, რომელშიც ქვეყნდება ობიექტური და სანდო ინფორმაციები, თუ გინდათ გაზეთი შინაარსობრივად უფრო საინტერესო გახდეს, მოგვწერეთ წერილები, თქვენი შესედულებები რაიონში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე, გაზეთში გამოქვეყნებულ წერილების ავ-კარგზე, რომელი მოგეწონათ, რომელმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი ინტერესი, მომავალში რომელ თემაზე გავამახვილოთ ყურადღება. თქვენს რჩევა-შენიშვნებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთ „ბორჯომს“ პრესის გამავრცელებლები ბინაზე მოგართმევენ. მთელი წლით გაზეთის გამოწერის ღირებულება 20 ლარია. უსაშველოდ გაძვირებული პოლიგრაფიული მომსახურების მიუხედავად, რედაქციას არ გაუზრდია გაზეთის ღირებულება.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გამავრცელებლებთან და რედაქციაში.

ჩვენი მისამართია: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ. 22-29-65: 599 227 929.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია